



საჩუქრისმადლობის წერილი





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2018
წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის შედეგების შესახებ

19 აგვისტო, 2019 წელი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს
ქალბატონ მათა ცქიტიშვილს

ქალბატონო მათა,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით.

აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, შევისწავლეთ შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმები, ასევე შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობა, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა უარყოფითი მოსაზრება ქვემოთ აღწერილ გარემოებათა გამო.

წარმოგიდგენთ სარეკომენდაციო წერილს, რომელიც ასახავს აუდიტის პროცესში აღმოჩენილ უზუსტობებს, ნაკლოვანებებსა და მათ აღმოსაფხვრელად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

შინაარსი

ტერმინები და შემოკლებები	3
1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	4
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	11
3. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხი	13
4. საკონტაქტო ინფორმაცია	18

ტერმინები და შემოკლებები

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის 429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;

დეპარტამენტი – სსდ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;

მინისტრი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი;

სამინისტრო – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

სამინისტროს აპარატი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;

სსდ – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება;

ფონდი – სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

ცენტრი – სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი.

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები

გამოვლენილი გარემოება: სსიპ – საქართველოს მუნიციპალური ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში საგადასახადო აქტივი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,121,974 ლარს,¹ ხოლო ორგანიზაციის საგადასახადო ბარათზე ჯამური დადებითი სალდო შეადგენს 3,940,385 ლარს. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავრწმუნდით ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში ასახული თანხის სისწორეში.

რეკომენდაცია N1.

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა შეისწავლოს საგადასახადო ბარათზე ასახული ფინანსური აქტივის წარმოშობის გარემოება და ფინანსური აქტივი გამოიყენოს მიმდინარე საბიუჯეტო გადასახადების დასაფარავად, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის დადებითი სალდო ასახოს „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში.

1.2 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

გამოვლენილი გარემოება: სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი 2016 წლიდან განკარგავს „ქალაქ ჭიათურაში მდებარე ქალაქის ცენტრის პერიფერიებთან დამაკავშირებელი ურბანული მექანიკური საზაფხუროების აღჭურვილობის განახლების“ პროექტს, რომლის მშენებლობაც ფინანსდება საფრანგეთის მთავრობის სესხით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საფრანგეთის მთავრობას შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე. პროექტის შემსრულებელია ფრანგული კომპანია POMA (შემდგომ – კონტრაქტორი).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საფრანგეთის მთავრობის მიმართ გადასახდელმა სასესხო ვალდებულებამ შეადგინა 11,825,492 ევრო, რომელიც ხელშეკრულების პირობის შესაბამისად წარმოშობილია საფრანგეთის მთავრობის მიერ კონტრაქტორის მიმართ განხორციელებული პირდაპირი გადახდებით.

მუნიციპალური განვითარების ფონდისგან მიღებული ინფორმაციით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციას პროექტის ფარგლებში კონტრაქტორისგან მიღებული აქვს არა 11,825,492 ევროს, არამედ – 10,825,001 ევროს სამუშაოების შესრულების დოკუმენტაცია, რაც ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია POMA-ს მიმართ წარმოშობს 1,000,492 ევროს მოთხოვნას.² აუდიტის პროცესში აღნიშნული მოთხოვნა მესამე პირის დასტურის წერილით ვერ დადასტურდა, რადგან კომპანია POMA ქართული

¹ აღნიშნული თანხა ძირითადად მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

² მოთხოვნა აღრიცხულია „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ მუხლში.

მხარის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებს შესრულებულად თვლის და არ აღიარებს ფონდის მოთხოვნას.

ზემოაღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ მიუხედავად დაკისრებული ფუნქციისა, კომპანია POMA-ს მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში, ფონდს არ აქვს დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოების ზედამხედველობასა და გადახდილი თანხის შესრულებულ სამუშაოებთან შესაბამისობის დადგენას. რაც, ასევე შექმნიდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული მოთხოვნის სამართლიანობისა და უტყუარობის საფუძველს.

შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობა და საკმარისი კონტროლის მექანიზმების არსებობა მნიშვნელოვანია სამართლიანი აღრიცხვისთვის, პროექტის დროულად და ეფექტიანად განხორციელებისთვის და ასევე სახელმწიფოს მიერ გადასახდელი სესხის მიზნობრიობის დასადასტურებლად.

რეკომენდაცია N2.

სსიპ – საქართველოს
მუნიციპალური
განვითარების ფონდს

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მუნიციპალური განვითარების ფონდმა შექმნას საინვენტარიზაციო კომისია, ჩაატაროს პროექტის სრული ინვენტარიზაცია და შეისწავლოს კომპანია POMA-ს მიერ წარმოდგენილი შესრულების აქტების შესაბამისობა შესრულებულ სამუშაოებთან. ასევე, უზრუნველყოს კოორდინაცია ფინანსთა სამინისტროსთან და რეალურად გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე, იმოქმედოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

1.3 ვადაგადაცილებული მოთხოვნები

გამოვლენილი გარემოება: სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა აზიის განვითარების ბანკის პროექტის³ ფარგლებში ქ. ფოთში განხორციელა კანალიზაციის სატუმბო სადგურებისა და წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია, რომლის საფუძველს წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული პროექტის საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულებები.

აღნიშნული ხელშეკრულებებით ქ. ფოთის მუნიციპალიტეტს ფონდის მიმართ წარმოეშვა სასესხო დავალიანება, რომლის ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,057,004 ლარს⁴ და წარმოადგენს ვადაგადაცილებულ მოთხოვნას.⁵ სესხის გადახდაზე მუნიციპალიტეტმა უარი განაცხადა, ვინაიდან პროექტის შედეგად მიღებული აქტივი მთავრობის განკარგულებით⁶ გადაეცა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“, რომლის პარტნიორის უფლებამოსილებას ახორციელებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიის 100%-იანი წილის მმართველი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მუნიციპალიტეტი აღარ არის აქტივის განმკარგავი.

³ „მუნიციპალური მომსახურების განვითარება“ (MSDP-ADB).

⁴ 2,143,360 ლარი – სესხის ძირი და 1,913,643 ლარი – დარიცხული პროცენტი.

⁵ მოთხოვნა წარმოშობილია 2010 წელს.

⁶ ფონდმა ვერ წარმოგვიდგინა აღნიშნული განკარგულება.

აღსანიშნავია, რომ ფონდის შემოსავლები და მის მიერ სხვა პროექტების განხორციელება დამოკიდებულია მუნიციპალიტეტების მიერ საინვესტიციო ხელშეკრულებებით აღებული სასესხო ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებაზე. აღნიშნულ საკითხზე აზიის განვითარების ბანკის პროექტების ადგილობრივი მმართველისგან ფონდს მიღებული აქვს არაერთი გაფრთხილება, რათა მოხდეს საკითხის დროული გადაწყვეტა და მუნიციპალიტეტის მიერ უპირობოდ შესრულდეს ფონდის წინაშე სასესხო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაფერისი მტკიცებულებები ვადაგადაცილებული მოთხოვნის მისაღებად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. შესაბამისად, ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას, რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული თანხები აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

რეკომენდაცია N3.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს; სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

ვადაგადაცილებული თანხების დროულად დაბრუნების მიზნით მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ჩართულობით, რომელიც უზრუნველყოფს პრობლემურ დებიტორებთან მოლაპარაკებებს, შეადგენს და მონიტორინგს გაუწევს თანხის გადახდის გრაფიკს, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს ვალის რესტრუქტურიზაციის გონივრულ გეგმას.

1.4 ძირითადი აქტივები

გამოვლენილი გარემოება: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 1,475,974,972 ლარის „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები“. აქედან, 103,236,067 ლარის აქტივებზე დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ჩართული არიან საპროექტო, საზედამხედველო და სამშენებლო-სარეაბილიტაციო პროცესში, არ გააჩნიათ სრულყოფილი ინფორმაცია ზემოხსენებულ აქტივებთან დაკავშირებით. ასევე დეპარტამენტის მხრიდან არ არის შემუშავებული ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროექტების განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე ხარვეზების დროულად გამოვლენას და შესაბამის რეაგირებას. გარდა ამისა, დეპარტამენტს არ გააჩნია უახლოეს მომავალში მათი გამოყენების გეგმა. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაფერისი მტკიცებულებები, აქტივების სამომავლო გამოყენებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ და აგრეთვე რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული ძირითადი საშუალებები აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კონტროლის მექანიზმების არსებობა მნიშვნელოვანია როგორც სწორი ფინანსური აღრიცხვის, ასევე პროექტების განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე ხარვეზების დროულად გამოვლენისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, რაც უზრუნველყოფს აქტივებში გადახდილი თანხების ეკონომიურ და ეფექტიან ხარჯვას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2018 წელს დეპარტამენტმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე, „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლიდან „ძირითად აქტივებში“ გადაიტანა 2011-2017 წლებში დასრულებული⁷ 792,768,792 ლარის ღირებულების აქტივი. თუმცა, დეპარტამენტმა არ დაარიცხა ცვეთის ხარჯი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, ზემოაღნიშნული იწვევს მნიშვნელოვან სხვაობებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქტივების ნაშთებსა და „კაპიტალის მოხმარების“ ანგარიშზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანების შესაბამისად. აუდიტის ჯგუფის მიერ გადათვლის შედეგად გამოვლინდა, რომ „ძირითადი აქტივების“ მუხლი გაზრდილია 2018 წლის 1 იანვრამდე დაურიცხავი ცვეთის ხარჯით – 45,484,646 ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი და სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი არ ატარებენ დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციას, რაც მნიშვნელოვნად უშლის ხელს გამოუსადეგარი/შეჩერებული პროექტებისა და სამშენებლო სამუშაოების, ასევე ექსპლუატაციაში შესული ძირითადი აქტივების დროულ იდენტიფიცირებას.

რეკომენდაცია N4.

სამინისტროს აპარატს;
საქართველოს
საავტომობილო გზების
დეპარტამენტს; სსიპ –
ევრაზიის სატრანსპორტო
დერეფნის საინვესტიციო
ცენტრს; სსიპ – საქართველოს
მუნიციპალური
განვითარების ფონდს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია საავტომობილო გზების დეპარტამენტმა და მუნიციპალური განვითარების ფონდმა შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც ჩაატარებს დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციას, რის შედეგადაც დადგინდება დაუმთავრებელი აქტივების სტატუსი და შემდგომში მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა.

ასევე, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრმა უზრუნველყოს დონორების დაფინანსებით შექმნილი ძირითადი აქტივების აღრიცხვიანობა სრულად და მიაწოდოს დეპარტამენტს სრულყოფილი ინფორმაცია.

ხარჯების ოპტიმიზაციის და აღრიცხვიანობის შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, სამინისტროს აპარატში უნდა დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაქვემდებარებული უწყებების კოორდინირებულ მუშაობას, ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

1.5 გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები

გამოვლენილი გარემოება: სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში 972,475 ლარის ვალდებულებები არასწორ პერიოდშია აღრიცხული, რადგან პირველადი დოკუმენტები საოპერაციო პერიოდით ეკუთვნის 2018 წლის დეკემბერს, ხოლო ვალდებულება აღიარებულ იქნა 2019 წელს.

⁷ ექსპლუატაციაში შესული.

ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მოცემული ინფორმაცია ისეთი 11 სასამართლო დავის შესახებ, რომელთა სავარაუდო თანხა ცნობილი იყო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შეადგენდა 27 მლნ ლარს.

სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის მიერ წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების და კრედიტორული დავალიანებების“ მუხლში არ არის ასახული მომწოდებლის მიმართ დარიცხული ვალდებულებები 4,300,983 ლარის ოდენობით, ვინაიდან ცენტრის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მხოლოდ საკასო მონაცემებს და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე არ მოხდა ზემოაღნიშნული ვალდებულებების დარიცხვა.

რეკომენდაცია N5.

სამინისტროს აპარატს;
საქართველოს
საავტომობილო გზების
დეპარტამენტს; სსიპ –
ევრაზიის სატრანსპორტო
დერეფნის საინვესტიციო
ცენტრს

იმისათვის, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ასევე ცალკეული საბალანსო ერთეულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება იქნეს სამართლიანად და უტყუარად წარმოდგენილი, მნიშვნელოვანია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშაოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული არსებითი უზუსტობების აღმოფხვრას, როგორც სამინისტროს აპარატში, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ ერთეულებში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის მიერ აღრიცხვიანობა განხორციელდეს „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანების შესაბამისად.

ასევე, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო დავების შესახებ ინფორმაცია ასახული უნდა იყოს წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

1.6 გრანტები (ხარჯები)

გამოვლენილი გარემოება: სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში საბიუჯეტო სახსრებიდან გრანტების სახით გაწეულ ხარჯებში ასახულია 147,061,587 ლარი, რის საფუძველადაც გამოყენებულია მხოლოდ კონტრაქტორებთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები. აღნიშნული ხარჯის გაწევის შედეგად იქმნება ძირითადი აქტივი,⁸ რომელიც გადაეცემა მუნიციპალიტეტებს, თუმცა ფონდის საბუღალტრო მონაცემებში აქტივის შექმნის ოპერაციები არ ფიქსირდება და პირდაპირ „გრანტის“ მუხლით გაწეულ ხარჯად აღიარდება, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს, რომ აქტივის შექმნის ეტაპზე კონტროლის მექანიზმი არ არსებობს.

ფონდმა გრანტის სახით გაწეული ხარჯის საფუძველად ვერ წარმოადგინა ბენეფიციარებისთვის აქტივების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაბამისი რწმუნება

⁸ მუნიციპალური განვითარების ფონდი სხვადასხვა მუნიციპალიტეტისთვის ქმნის ისეთ აქტივებს, როგორიცაა: წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია, საზაფხურო დიზაინი და მშენებლობა, პარკების რეაბილიტაცია, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ა.შ.

147,061,587 ლარის გრანტის ხარჯად აღიარების შესახებ. ზემოაღნიშნული თანხიდან 641,554 ლარი უნდა აღრიცხულიყო სუბსიდიის ხარჯად, ნაცვლად გრანტის ხარჯისა, რადგან არაფინანსური აქტივის მიმღებ ბენეფიციარი კერძო სუბიექტია.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი⁹ შესრულებული სამუშაოების საფუძველზე შექმნილ ძირითად აქტივებს¹⁰ „გრანტების“ მუხლით გადასცემს შესაბამის მუნიციპალიტეტებს. 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული მუხლით გაწეული ხარჯი შეადგენს 43,251,951 ლარს, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტაციის¹¹ საფუძველზე გადაცემული აქტივის მოცულობა შეადგენს 41,169,733 ლარს, რაც 2,082,218 ლარით ნაკლებია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულზე.

რეკომენდაცია N6.

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს; საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ფონდმა შეიმუშაოს მუნიციპალიტეტებისთვის აქტივის გადაცემის ისეთი პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს გრანტების ხარჯად აღიარების სათანადო საფუძველს.

1.7 არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდმა გადააფასა გაცემული ავანსები რაც, აღრიცხვის ინსტრუქციის დარღვევას წარმოადგენს.¹² გადაფასების შედეგად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 635,154 ლარი, ხოლო ზარალმა – 1,241,545 ლარი.

ასევე, ფონდის მიერ მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში გადაფასებულია მუნიციპალიტეტებზე დასარიცხავი გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნა. აღნიშნული სესხი მუნიციპალიტეტებზე გაცემულია ლარში, შესაბამისად, 3,095,447 ლარით გაზრდილია არასაოპერაციო ხარჯების ანგარიში.

რეკომენდაცია N7.

სამინისტროს აპარატს; სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

ფინანსური ანგარიშგების საიმედოობისა და შესადარისობის გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროს აპარატმა და საბალანსო ერთეულებმა შეიმუშაონ დეტალიზებული, ძირითადი ოპერაციების ამსახველი სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი ინფორმაციის ასახვასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას.

გარდა ამისა მნიშვნელოვანია ფონდმა მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტებთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების ვალდებულებების დაფარვის პირობები შესაბამისობაში მოიყვანოს ამავე

⁹ გზების დეპარტამენტი მუნიციპალიტეტებს გრანტის სახით გადასცემს ადგილობრივ გზებს.

¹⁰ ადგილობრივი მნიშვნელობის გზები.

¹¹ მიღება-ჩაბარების აქტი.

¹² მუხლი 42, პუნქტი 19.

პროექტის ფარგლებში ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებულ სასესიო ხელშეკრულებასთან.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებების გამიჯვნა

გამოვლენილი გარემოება: სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდს და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების და კრედიტორული დავალიანების“ მუხლში ასახული აქვს, შესაბამისად, 49,890,593 და 64,111,345 ლარის ვალდებულებები, რომლებიც შესაძლებელია მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე ნებისმიერ დროს დაიფაროს. გამომდინარე აქედან, ვალდებულებების ნაწილი შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს გრძელვადიან ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმს.

რეკომენდაცია N8.

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს; საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

მუნიციპალური განვითარების ფონდსა და გზების დეპარტამენტში უნდა შემუშავდეს ვალდებულებების აღრიცხვის ერთიანი პოლიტიკა და განისაზღვროს ვალდებულებების დაფარვის ვადები, რომლის გათვალისწინებით მოხდება გრძელვადიანი ვალდებულებების მოკლევადიან ვალდებულებებში გადატანა, ხოლო დარჩენილი ნაწილი აღიარდება რეალური ღირებულებით (მომავალში გადასახდელი თანხების დისკონტირებული ღირებულებით).

2.2 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია

გამოვლენილი გარემოება: სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდს არ დაუსრულებია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

ზემოხსენებული აქტივების კატეგორიების ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩატარება მნიშვნელოვანია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანი და უტყუარი წარდგენისათვის, ასევე აქტივების უდანაკარგოდ და ეფექტიანად მართვისთვის.

რეკომენდაცია N9.

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

ვინაიდან მოთხოვნა-ვალდებულებების ყოველწლიური ინვენტარიზაციის განუხორციელებლობა მნიშვნელოვნად ზრდის ფინანსური აქტივების მიუღებლობის რისკს, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების ინვენტარიზაციის, ურთიერთშედარების აქტების გაფორმების, მათი რეალობის, ხანდაზმულობის, ამოღების ალბათობის შესწავლისა და ჩამოწერის პროცესს, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

2.3 აღრიცხვა ანგარიშგება

გამოვლენილი გარემოება: ფონდი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს სისტემატიზებული საბუღალტრო პროგრამა „ორისის“ მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ აუდიტის დროს ფონდის მიერ მოწოდებულ „ორისის“ მონაცემებში დაფიქსირდა სხვადასხვა უზუსტობა, კერძოდ:

- 1) წლის ბოლოს არსებული უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსით გადაფასებული იყო ისეთი ნაშთები, რომლებიც არ ექვემდებარებოდა გადაფასებას;
- 2) კონკრეტული დოკუმენტები დუბლირებით იყო გატარებული;

ჟ) ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად „ორისის“ მონაცემებთან ერთად გამოიყენება დამატებითი სხვადასხვა, მათ შორის, არასისტემატიზებული არსებული ინფორმაცია.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ ფონდი სრულყოფილად არ იყენებს სისტემატიზებულ პროგრამაში არსებული სხვადასხვა ტიპის კონტროლის მექანიზმებს, რაც ზრდის ფინანსური ანგარიშგების შეცდომით წარდგენის რისკებს.

რეკომენდაცია N10.

სსიპ – საქართველოს
მუნიციპალური
განვითარების ფონდს

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა დანერგოს და გამოიყენოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც შეამცირებენ ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების რისკს (მაგალითად: პროგრამაში ავტორიზაციის ფუნქციის გამოყენება, ერთ დოკუმენტზე გატარების დუბლირების შეტყობინება და სხვ.).

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის გაუმჯობესების მიზნით სასურველია, სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა გამოიყენოს მხოლოდ ერთ კონკრეტულ სისტემატიზებულ საბუღალტრო პროგრამაში არსებული მონაცემები, აგრეთვე პროგრამას დაემატოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის ველი, რომლის შევსებაც იქნება აუცილებელი და იდენტიფიცირებადს გახდის, თუ რომელ ეკონომიკურ მუხლს მიეკუთვნება კონკრეტული ბუღალტრული გატარება.

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკა

გამოვლენილი გარემოება: რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებულ არცერთ უწყებაში არ არის შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: უიმედო ვალები, მოძველებული მატერიალური ფასეულობები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ცვეთად აქტივებზე გაწეული დანახარჯები და სხვ. სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

რეკომენდაცია N11.

სამინისტროს აპარატს

ფინანსური ანგარიშგების საიმედოობისა და შესაძარისობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ და მის დაქვემდებარებაში მყოფმა უწყებებმა უზრუნველყონ ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, რომლის საშუალებითაც ასევე შესაძლებელი იქნება ბუღალტრული აღრიცხვის სათანადოდ წარმოება და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების მომზადება.

3. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხი

რეკომენდაცია N1. (2016) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს	მნიშვნელოვანია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს:) სამეურნეო ოპერაციების სრულად, დროულად და ზუსტად ასახვას შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში;) ყველა დაშვებულ არსებით (როგორც ხარისხობრივად, ასევე რაოდენობრივად) შეცდომასთან დაკავშირებულ შესაძლო რისკებზე, გამომწვევ მიზეზებსა და გავლენებზე ადეკვატურ რეაგირებას, შეფასებასა და დოკუმენტირებას.
შესრულების მდგომარეობა: შეუსრულებელი	
რეკომენდაცია N2. (2016) სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს	სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში პირდაპირ კაპიტალის ანგარიშზე აქვს ასახული გარკვეული ტიპის შემოსავლები, რაც ეწინააღმდეგება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პრინციპებს. შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 3,708,725 ლარით არასწორად არის წარმოდგენილი. იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად და გამჭვირვალედ იქნეს წარმოდგენილი, მნიშვნელოვანია, სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა შეიმუშაოს და დანერგოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებული ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს არსებითი შეცდომების დროულ აღმოჩენას და შესწორებას.
შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული	მიმდინარეობს ფონდის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაციის სამუშაოები, რაც მიზნად ისახავს რეალური და სანდო ფინანსური ანგარიშის შედგენას. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია ფონდის მიერ ამ ნაწილში შესრულებულია.
რეკომენდაცია N4. (2016) სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს	წლის ბოლოსათვის აუთვისებული საბიუჯეტო სახსრების მასშტაბური ხარჯვა ქმნის რესურსების არაეფექტიანად და არამიზნობრივად გახარჯვის რისკს. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მხრიდან, შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს წლის განმავლობაში ბიუჯეტის თანაბარპროპორციულ ათვისებას.
შესრულების მდგომარეობა: შეუსრულებელი	აღნიშნულ რეკომენდაციაზე ფონდის მიერ ოფიციალური განმარტებით, საბიუჯეტო სახსრების ათვისება ხორციელდება კონტრაქტორების მიერ სამუშაოების შესრულების მიმდინარეობის შესაბამისად, რაც, ასევე უკავშირდება სეზონურობას. ამასთანავე, საავანსო თანხების გადახდა ხორციელდება შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით დათქმულ ვადებში,

	რომელიც ასევე შეთანხმებულია დონორ ორგანიზაციებთან. ამდენად, ფონდი საბიუჯეტო სახსრების ათვისების გრაფიკს საკუთარი სურვილის მიხედვით ვერანაირად ვერ შეცვლის.
რეკომენდაცია N5. (2017) სამინისტროს აპარატს; სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს	მნიშვნელოვანია, სამინისტროს აპარატმა და მუნიციპალური განვითარების ფონდმა, პროექტი განიხილონ ერთიან ჭრილში და გადახდილი და ჩამოწერილი თანხების შედარების საფუძველზე გამოავლინონ რეალური გარემოება და იმოქმედონ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული	მომზადდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2018 წლის 22 აგვისტოს N104/ო ბრძანება ფინანსური აქტივის გადაცემაზე და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე სამინისტროს აპარატმა გადასცა მუნიციპალური განვითარების ფონდს. მიუხედავად ამისა, რეკომენდაცია რჩება ნაწილობრივ შესრულებული, რადგან არ გამოვლენილა რეალური გარემოება და 2018 წლის აუდიტის სარეკომენდაციო წერილით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიცემა ახალი რეკომენდაცია.
რეკომენდაცია N6. (2017) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს; სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს	იმისათვის, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტს და სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია ფაქტობრივად არსებული სხვა მატერიალური მარაგების და ძირითადი აქტივების ბუღალტრულ მონაცემებთან შესადარისობის შესახებ; მნიშვნელოვანია, საინვენტარიზაციო კომისიამ უზრუნველყოს ინვენტარიზაციის დასრულება ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ინვენტარიზაციის შედეგებისა და ბუღალტრული მონაცემების ურთიერთშედარება, ხოლო პროცესის შემზღუდველ ფაქტორებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გატარდეს სათანადო ქმედებები, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.
შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვენტარიზაცია დასრულებული იყო.
რეკომენდაცია N7. (2017) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს	მნიშვნელოვანია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამეურნეო ოპერაციების სრულად, დროულად და ზუსტად ასახვას შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში. ვინაიდან აღნიშნული აქტივი აღიარებული აქვს სსიპ – ქონების ეროვნულ სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისად, სამინისტრომ უნდა ჩამოწეროს ბალანსზე აღრიცხული 83,577,619 ლარის აქტივები.

შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია	აქციებისა და კაპიტალის ანგარიშზე ასახული ფინანსური აქტივი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების საფუძველზე ჩამოწერილია ხარჯებში.
რეკომენდაცია N8. (2017) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს	საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მოახდინოს რეკლასიფიკაცია დაუმთავრებელი ძირითადი აქტივიდან – „ხიდების და გზების“ მუხლებში და დაერიცხოს ცვეთა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანების შესაბამისად. ასევე მნიშვნელოვანია, შესწავლილ იქნეს ის პროექტები, რომლებიც ადგენენ „დაუმთავრებელი აქტივის“ მუხლს და დასრულებული პროექტების გამოვლენის შემთხვევაში, დაკლასიფიცირდეს შინაარსის შესაბამისად.
შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული	დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში დაუმთავრებელ ძირითად აქტივებში ასახული გზების და სხვა ნაგებობების გადატანა შესაბამისი კატეგორიის აქტივში ხორციელდებოდა ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტისა და ექსპლუატაციაში მიღების ბრძანების გამოცემის შემდგომ. სამომავლოდ მსგავს შემთხვევებში, ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ბრძანების გამოცემამდე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციის შესაბამისად, აქტივის რეკლასიფიკაცია განხორციელდება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის ვადის გასვლის შემდგომ, აქტივის მიღების სერტიფიკატზე დაყრდნობით.
რეკომენდაცია N9. (2017) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს; სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრს; საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს	იმისათვის, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ასევე ცალკეული საბალანსო ერთეულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება იქნეს უტყუარად წარმოდგენილი, მნიშვნელოვანია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშაოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებებში დაშვებული არსებითი უზუსტობების აღმოფხვრას, როგორც სამინისტროს აპარატში, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ ერთეულებში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის მიერ დაკავებული ყველა ხარისხის დაცვის თანხების იდენტიფიცირება და მათი ვალდებულების სახით ასახვა.
შესრულების მდგომარეობა: შეუსრულებელი	დაწყებულია სამინისტროს მასშტაბით სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება.
რეკომენდაცია N10. (2017) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს	საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანების შესაბამისად, გზებს, ხიდებსა და გვირაბებს უნდა მიაწიქოს შესაბამისი კლასიფიკაცია. გზების, ხიდების და გვირაბების ცვეთის ხარჯის გაანგარიშებისთვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის N439 ბრძანების შესაბამისად, განსაზღვრულია ცალკეული ცვეთის ნორმები.
შესრულების მდგომარეობა: შესრულებული	ამჟამად კაპიტალური ხარჯების გამიჯვნა მიმდინარე პროექტებზე დეპარტამენტში უკვე დაწყებულია და შესაბამისად, ცალკე აღირიცხება ხიდები, გვირაბები, ელექტროგადამცემი ხაზები. მათ საბალანსო ღირებულებას ცვეთა

	დაერიცხება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად. რაც შეეხება ცვეთის ნორმების გამოყენებას საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებთან მიმართებაში, აღნიშნული პრაქტიკა შეიცვალა და გათვალისწინებულ იქნა ზემოაღნიშნული ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ნორმები.
რეკომენდაცია N11. (2017) სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შესრულების მდგომარეობა: შესრულებული	გამოვლენილი გარემოებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მუნიციპალური განვითარების ფონდმა, მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემული ქონების ღირებულების საფუძველზე წარმოშობილ სასესხო მოთხოვნებზე, ქონების გადაცემის ხელშეკრულების მე-2 მუხლში¹³ მოცემული სესხის თანხასთან დაკავშირებული ძირითადი პირობები მოიყვანოს შესაბამისობაში. მუნიციპალური განვითარების ფონდმა სასესხო ხელშეკრულება დადო ყველა მუნიციპალიტეტთან და მოიყვანა შესაბამისობაში ქონების გადაცემის ხელშეკრულებაში მეორე მუხლით გათვალისწინებული პირობები.
რეკომენდაცია N12. (2017) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს; სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული	აღნიშნული თანხების დროულად დაბრუნების მიზნით მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს პრობლემურ დებიტორებთან მოლაპარაკებებს, შეადგენს და მონიტორინგს გაუწევს თანხის გადახდის გრაფიკს, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს რესტრუქტურისაციის გონივრულ გეგმას.
რეკომენდაცია N13. (2017) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული	ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შეიმუშაოს მუნიციპალიტეტებისთვის აქტივის გადაცემის მართებული პროცედურა. რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება დეპარტამენტის მიერ. დეპარტამენტი შესრულებული სამუშაოების საფუძველზე შექმნილ ძირითად აქტივებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე გადასცემს მუნიციპალიტეტებს. ასევე შემუშავდება პროცედურა, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტს დაეკისრება ვალდებულება დეპარტამენტის მიერ

¹³ ქონების გადაცემის ხელშეკრულების მე-2 მუხლი, 2.4.1 პუნქტი: სესხის ოდენობა საბოლოოდ დაზუსტდება პროექტის ქონების სრულად გადაცემის შემდეგ და აისახება დანართ N1-ში; 2.8 პუნქტი: ბენეფიციარის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ის მიხედვით, წელიწადში – ორჯერ: 28 ოქტომბერს და 28 აპრილს; 2.9. პუნქტი: დანართი N1 შედგენილი იქნება პროექტის ქონების სრულად გადაცემის შემდეგ; 2.10 გადახდის შეღავათიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, ბენეფიციარი ვალდებულია, დაიწყოს სესხის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლისა და დანართი N1-ის შესაბამისად.

გადაცემულ
სამუშაოები.

ძირითად

აქტივებზე

განახორციელოს

მოვლა-შენახვის

4. საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38